

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №265

2013 წლის 21 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

### მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 12/01/2011, 340170000.10.003.016170) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებულ „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-10 დანართის პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის:

ა) 28<sup>1</sup> პუნქტი:

„28<sup>1</sup>. *Paysandisia archon* - პალმის ჩრჩილი;“;

ბ) 36<sup>1</sup> პუნქტი:

„36<sup>1</sup>. *Rhynchopherus ferrugineus* - პალმის წითელი ცხვირგრძელა;“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ექსპორტის შემთხვევაში სერტიფიკატის წარდგენა სავალდებულო არ არის, გარდა სანაშენე და საკლავი ცხოველების ექსპორტისა.“.

### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

პრემიერ-მინისტრი

ბიძინა ივანიშვილი

